

განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია/Electronics, Telecommunication, and Internet Engineering
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი/Bachelor of Telecommunication
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ენვერ ხალვაში, პროფესორი, ელ.ფოსტა: enver.khalvashi@bsu.edu.ge ნუგაზრ ჭედია, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: nugzar.chedia@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები;</li> <li>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;</li> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> </ul>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ მოამზადოს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ელექტრონიკის, ტელეკომუნიკაციის და ინტერნეტინჟინერიის სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება;</li> <li>✓ მისცეს სტუდენტს ფართო განათლება ზუსტ, ბუნებისმეტყველების და ზოგად საინჟინრო მეცნიერებებში. ჩამოუყალიბოს უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი და შეუქმნას მყარი საფუძველი შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;</li> <li>✓ შეასწავლოს სტუდენტს სატელეკომუნიკაციო ანალოგური და ციფრული სიგნალები, ველები და ტალღები, გადაცემის პრინციპები, რადიოტექნიკური სისტემები, ანტენები და რადიოტალღების გავრცელების პრინციპები, ქსელების არქიტექტურა, დაპროექტება და აგება, სატელეკომუნიკაციო ნაგებობები და აღჭურვილობები, ბოჭკოვან- ოპტიკური და მრავალარხიანი სისტემები; საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის, მოდელირების კომპიუტერული სისტემების ძირითადი მეთოდები; ეკოლოგიის, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საფუძველები.</li> </ul>
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ფლობს სატელეკომუნიკაციო ქსელების (მობილური, ბოჭკოვან-ოპტიკური, ინტერნეტ, მრავალარხიანი და სხვ.) თეორიებისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ზუსტი და ბუნებისმეტყველების, ელექტრონიკის, ელექტროტექნიკის, საინჟინრო მექანიკის (ველები და ტალღები, რადიოტექნიკური, ანალოგური, ციფრული</li> </ul>

	<p>სისტემები, სატელეკომუნიკაციო ნაგებობება-აღჭურვილობები და სხვ.) მეცნიერებების ცოდნას და ახდენს მათ გააზრებას;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ფლობს სატელეკომუნიკაციო ქსელების აგების და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ქსელების არქიტექტურის, გადაცემის პრინციპების, ანტენების, რადიოტალღების გავრცელების და სხვა მეცნიერებების ძირითად თეორიულ საკითხებს და ახდენს მათ გააზრებას;</li> <li>✓ იაზრებს ნაგებობის სატელეკომუნიკაციო აღჭურვასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს, მათ მნიშვნელობას ერთიან სისტემაში;</li> <li>✓ აქვს სატელეკომუნიკაციო პროექტების მომზადებისათვის აუცილებელი თანამედროვე წერითი, გრაფიკული და კომპიუტერული ტექნოლოგიების თეორიისა და მეთოდების (MathCAD, Matlab, C++, Cable Project CAD, Arduino, AutoCAD, LIRA ... ) ცოდნა;</li> <li>✓ აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ ფასეულობებს; პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს; შრომის უსაფრთხოების როლს კატასტროფების რისკის შემცირებისათვის; ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას;</li> <li>✓ ქმნის საშუალო სირთულის სატელეკომუნიკაციო ქსელების პროექტებს (საკაბელო, ვიდეო-სამეთვალყურეო, სახანძრო, დაცვითი, სატელეფონო და ინტერნეტ ქსელები, ასევე მსგავსი ტიპის სისტემებს) ზუსტი, ბუნებისმეტყველების, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, საინჟინრო მექანიკის ძირითადი მეთოდების გამოყენებით ტექნიკური, ფუნქციური, ეკოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით;</li> <li>✓ აგებს საშუალო სირთულის სატელეკომუნიკაციო ქსელებს წინასწარგანსაზღვრული მითითებებისა და პროექტის შესაბამისად, არქიტექტურის, გადაცემის პრინციპების, ანტენების, რადიოტალღების გავრცელების და სხვა მეთოდების გამოყენებით;</li> <li>✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ნაგებობების დაპროექტების პროცესში, ითვალისწინებს და ასახავს სატელეკომუნიკაციო, ინტერნეტ და სხვა სისტემებს; შეუძლია თანამედროვე საინჟინრო პრაქტიკისათვის აუცილებელი მეთოდების (მათ შორის წერითი, გრაფიკული, კომუნიკაციური და სხვ.) ტექნიკისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება; პროფესიული საქმიანობის პროცესში, ეთიკის მოთხოვნების, ეკოლოგიური და უსაფრთხოების პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ამყარებს კომუნიკაციას;</li> <li>✓ განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.</li> </ul>
--	---